

## დინამიკური პროგრამირება გაზგავანილობის სისტემის დაპროექტებაში

ნოდარ აბელაშვილი<sup>1</sup>, გიორგი ქართველიშვილი<sup>2</sup>

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2-კომპანია British Petroleum

### რეზიუმე

ნაშრომში განიხილება ლოკალური გაზგავანილობის ქსელის მოწყობის დინამიკური პროგრამირების მრავალკომპონენტური მათემატიკური მოდელირების ამოცანა ენერგეტიკული, ქსელური ხასიათის (გაზი, ელექტროენერგია, წყალმომარაგება და ა.შ.) ობიექტების დაპროექტებისას, სხვადასხვა ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეზღუდვათა გამოყენების პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** მათემატიკური მოდელირება. მრავალკომპონენტური დინამიკური პროგრამირება.

### 1. შესავალი


ქვეყნის ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს, რაშიც ენერგეტიკული, ქსელური ხასიათის (გაზი, ელექტროენერგია, წყალმომარაგება და ა.შ.) ინფრასტრუქტურის ობიექტები საკვანძო ადგილებს იკავებენ. ასეთი ტიპის ქსელების მოწყობა საკმაოდ დიდ საწყის კაპიტალდაბანდებას მოითხოვს, ამიტომ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მოკვლევისა და პროექტირების ეტაპები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ფინანსური და ტექნიკური დასაბუთების საწყის ეტაპზე მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენება შესაძლებელ ეკონომიკურ, ტექნიკურ, ტექნილოგიურ და სოციალურ რისკებს მკვეთრად ამცირებს.

### 2. ძირითადი ნაწილი

გაზგავანილობის სისტემა მოსაწყობია საწყისი N პუნქტიდან საბოლოო M პუნქტში, რომლის განხორცილებაც შესაძლებელია რელიეფის, დასახლებულ პუნქტში მიღებავანილობის ქსელის მოწყობის შეაძლებლობების გათვალისწინებით, რისთვისაც არსებობს რამოდენიმე ალტერნატიული მარშრუტი შეალებურ პუნქტებზე გავლით. აღნიშნული სიტუაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ ქსელის სახით, რომლის მწვერვალები ასახავს დასახლებულ პუნქტებში გაზგამანაწილებელ სადგურებს, ხოლო რკალები კი მიღებავანილობის მარშუტებია. მარშუტის დაგეგმვარებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მთავარი 3 პირობა: მიღებავანილობის სისტემა უნდა შესრულდეს მინიმალური ხარჯებით, მინიმალურ დროში და დაკმაყოფილოს მაქსიმალურად ბევრი ადამიანი.

ამოცანა დავყოთ 3 ნაწილად. პირველ ნაწილში განვიხილოთ მიღებავანილობის სისტემის გაყვანის ოპტიმალური მარშრუტი მინიმალური დანახარჯებისათვის, მეორე ნაწილში – ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობის დაკმაყოფილების მარშრუტი და ბოლოს განვიხილოთ მაქსიმალურად მცირე დროში თუ რა მარშრუტია სუკეთესო (ნახ.1).

ნაწილი 1.



ნახ.1

პროექტი შეიძლება დაგუავშიროთ დინამიკური პროგრამირების ამოცანას. პროექტის ძირითადი ელემენტების განსაზღვრის გზით შეიძლება მივაღწიოთ გადაწყვეტის ოპტიმალური მონახსენის მოძებნას.

დინამიკური პროგრამირების ბიჯებად შეიძლება მივიღოთ გაყვანილობის მარშუტები, რომლებიც აკავშირებს ორ მოსაზღვრე გამანაწილებელ სადგურს.  $i$ -ური ბიჯის დასაწყისში  $X_i$  მდგომარეობა განისაზღვრება ნებისმიერი გამანაწილებელი სადგურისათვის, რომელიც ჩართულია სისტემაში, ხოლო ამონახსის  $K_i$  ვარიანტები  $i$ -ური ბიჯზე განისაზღვრება რკალების რაოდენობით, რომლებიც გამოდის მწვერვალებიდან ანუ თითოეული გამანაწილებელი სადგურისათვის მარშუტების შესაძლო ვარიანტების რაოდენობით. მაზნობრივი ფუნქცია  $i$ -ური ბიჯზე  $f_i(X_i, U_i)$  შეიძლება განისაზღვროს მარშუტის გაყვანის ღირებულების მიხედვით ნებისმიერი  $S$ -ური სადგურიდან  $j$ -ურ სადგურში

$$f_i(X_i, U_i) = C_{S-j}$$

Ki-ური მართვა გულისხმობს გასგაფვანილობის მარშრუტის ამორჩევისას S-ური მწვერვალიდან Ji-ურ მწვერვალებამდე, ამიტომ პროექტის კონკურენტურარიანობის გაზრდის მიზნით შესაძლებელია მიზნობრივი ფუნქციისთვის შეზღუდვა მარშრუტის მშებელობის მინიმალური ღირებულების შესახებ, რის შედეგადაც პროგრამირების ძირითადი ფუნქციონალური განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$f_i(x_i) = \min_{S-j} [f_i(x_i, u_i) + f_{i+1}(x_i^1)] = \min_{S-j} [C_{s-j}^i + f_{i+1}(x_i^1)]$$

დინამიკური პროგრამირების მეთოდიკის მიხედვით ამოცანის ამოხსნას ვიწყებთ მეოთხე ბიჯიდან, სადაც განისაზღვრება პირობით ოპტიმალური მართვა და მიზნობრივი პუნქციის პირობითი ოპტიმალური მნიშვნელობა:

$$\begin{aligned} f_4(x_4) &= \min_{S-j} [f_4(x_4, u_4) + f_4(x_4)] \\ f_4(x_4) &= \min_{S-j} [C_{s-j}] \\ f_4(P) &= \min_{P-M} [C_{P-M}] = 6 \\ f_4(Q) &= \min_{P-M} [C_{Q-M}] = 3 \end{aligned}$$

მიღებული შედეგი შევიტანოთ №1 ცხრილში:

ცხრ.1

i პუნქტი	ეტაპი X <sub>4</sub> =M	მიზნობრივი ფუნქცია F <sub>4</sub> (X <sub>4</sub> )	მართვა U <sub>4</sub>
P	6	6	M
Q	3	3	M

ამისშემდგომგანვსაზღვროთპირობითიოპტიმალურიმართვადამიზნობრივიფუნქციისპირობითიოპტიმალურიმნიშვნელობაძესამებიჯზე.

$$f_3(D) = \min_{\substack{d-p \\ d-q}} \{ [C_{d-p} + F_4(P)]; [C_{d-q} + F_4(Q)] \} = \min \{ [8+6]; [2+3] \} = 5$$

$$f_3(L) = \min_{\substack{l-p \\ l-q}} \{ [C_{l-p} + F_4(P)]; [C_{l-q} + F_4(Q)] \} = \min \{ [6+6]; [5+3] \} = 8$$

$$f_3(K) = \min_{\substack{k-p \\ k-q}} \{ [C_{k-p} + F_4(P)]; [C_{k-q} + F_4(Q)] \} = \min \{ [5+6]; [7+3] \} = 10$$

მიღებული მნიშვნელობები შევიტანოთ №2 ცხრილში:

ცხრ.2

i პუნქტი	X <sub>3</sub> <sup>1</sup> =P	X <sub>3</sub> <sup>1</sup> =Q	მიზნობრივი ფუნქცია f <sub>3</sub> (x <sub>3</sub> )	მართვა U <sub>3</sub>
D	8+6	2+3	5	Q
L	6+6	5+3	8	Q
K	5+6	7+3	10	Q

ახლაგანვსაზღვროთპირობითიოპტიმალურიმართვადამიზნობრივიფუნქციისპირობითიოპტიმალურიმნიშვნელობამეორებიჯზე.

$$f_2(A) = \min_{\substack{a-d \\ a-l}} \{ [C_{a-d} + F_3(D)]; [C_{a-l} + F_3(L)] \} = \min \{ [2+5]; [9+8] \} = 7$$

$$f_2(B) = \min_{\substack{b-d \\ b-l}} \{ [C_{b-d} + F_3(D)]; [C_{b-l} + F_3(L)] \} = \min \{ [5+5]; [4+8] \} = 10$$

$$f_2(C) = \min_{\substack{c-d \\ c-l \\ c-k}} \{ [C_{c-d} + F_3(D)]; [C_{c-l} + F_3(L)]; [C_{c-k} + F_3(K)] \} = \min \{ [6+5]; [3+8]; [5+10] \} = 11$$

შედეგები შევიტანოთ №3 ცხრილში:

ცხრ.3

i პუნქტი	X <sub>2</sub> <sup>1</sup> =A	X <sub>2</sub> <sup>1</sup> =B	X <sub>2</sub> <sup>1</sup> =C	მიზნობრივი ფუნქცია f <sub>2</sub> (x <sub>2</sub> )	მართვა U <sub>2</sub>
A	2+5	9+8	-	7	D
B	5+5	4+8	-	10	D
C	6+5	3+8	5+10	11	D

და ბოლოს განვსაზღვროთ პირობითი ოპტიმალური მართვა და მიზნობრივი ფუნქციის პირობითი ოპტიმალური მნიშვნელობა პირველ ბიჯზე.

$$f_1(N) = \min_{\substack{N-A \\ N-B \\ N-C}} \{ [C_{N-A} + F_2(A)] \cdot [C_{N-B} + F_2(B)] \cdot [C_{N-C} + F_2(C)] \} = \min_{\{[7+7]; [3+10]; [4+11]\}} = 13$$

შესაბამისი მნიშვნელობები შევიტანოთ №4 ცხრილში:

ცხრილი 4


i	$X^1_i=A$	$X^1_i=B$	$X^1_i=C$	მიზნობრივი ფუნქცია $f_1(x_1)$	მართვა $U_1$
N	7+7	3+10	4+11	13	B

ცხრილის მიხედვით საწყისი N პუნქტიდან მინიმალური დანახარჯებით შეიძლება გავიყვანოთ B პუნქტში, შემდეგ ცხრილი 3-ის მეშვეობით მოვქებნოთ B პუნქტის შესაბამისი სტრიქონი, რომელიც განსაზღვრავს მარშუტის შემდეგ პუნქტს, რომელზედაც დანახარჯები იქნება მინიმალური, ეს არის პუნქტი D. ამის შემდეგ მე-2-ე ცხრილის საშუალებით D პუნქტის შესაბამისი სტრიქონი, რომელიც განსაზღვრავს მარშუტის შემდეგ პუნქტს და ეს პუნქტი იქნება Q და ბოლოს პირველი ცხრილი მიგვითითებს მარშრუტის ბოლო პუნქტს M.

მარშუტს ექნება შემდეგი სახე N B D Q M

ნაწილი 2.

ამოცანის მეორე ნაწილის ამოსახსნელად კვლავ გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელირების დინამიკური პროგრამირების მეთოდი მოცემულ მომხმარებელთა განაწილების სქემის მიხედვით, სადაც ამჯერად რკალებზე მოცემულია მომხმარებელთა შესაძლო რაოდენობა შესაბამის გაზგამანაწილებელ პუნქტის ფარგლებში (ნახ.2). ამ შემთხვევაში  $U_i$ -მართვაში იგულისხმება მარშუტის ამორჩევა S-ური პუნქტიდან j-ურში. ხოლო მიზნობრივი ფუნქციისათვის შეიძლება შემოვიდოთ შეზღუდვა სისტემაში გასაწევრიანებელი მომხმარებელთა მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.




ნახ.2

მონაცემების ანალოგიურად დამუშავებისას მივიღეთ ოპტიმალური მნიშვნელობა მომხმარებელთა განაწილების სქემის მიხედვით. მარშრუტს ექნება შემდეგი სახე N B L Q M

ნაწილი 3.

ამოცანის მესამე ნაწილის ამოსახსნელადაც გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელირების დინამიკური პროგრამირების მეთოდი მოცემულ სამუშაოს შესრულების დროის განაწილების სქემის მიხედვით, სადაც ამჯერად მოცემულია შესარულებელ სამუშაოთა დრო შესაბამის გაზგამანაწილებელ პუნქტის ფარგლებში (ნახ.3). ამ შემთხვევაში  $U_i$ -მართვაში იგულისხმება მარშუტის ამორჩევა S-ური პუნქტიდან j-ურში. ხოლო მიზნობრივი ფუნქციისათვის შეიძლება შემოვიდოთ შეზღუდვა სისტემაში შესარულებელ სამუშაოთა მინიმალურ დროში შესრულების შესახებ.

აქაც მონაცემების დამუშავებისას მივიღეთ ოპტიმალური მნიშვნელობა შესარულებელ სამუშაოთა მინიმალურ დროში შესრულების შესახებ და ოპტიმალური მნიშვნელობა იქნება: N C D Q M.



ნახ.3

გაზგამანაწილებელი მარშუტის ოპტიმიზაციის შემდეგ გამოვთვალოთ ამორჩული მარშრუტის ეფექტურობა, რომელიც სისტემაში აპირენტების (მომხმარებლების) რაოდენობით განისაზღვრება ანუ ფარდობა დანახარჯები / მომხმარებელი საშუალებას მოგვცემს გამოვთვალოთ მოდელირებული მარშუტის ეფექტურობა, რაც მომხმარებელთა დაკმაყოფილების ხარისხს და შესაბამისად მომსახურების ხარისხს განსაზღვრავს. მინიმალური ხარჯის მარშრუტის მიხედვით მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს 26 ერთეულს, ხოლო ხარჯი კი 13 ერთეულს და შესაბამისად გაზგაყვანილობის ეფექტი  $13/26=0,5$ , ხოლო მომხმარებელთა მაქსიმალური რაოდენობის მარშრუტის მიხედვით ხარჯი შეადგენს 15 ერთეულს, მომხმარებელთა რაოდენობა კი 29 ერთეულს და შესაბამისად ეფექტი  $15/29=0,517$ . ასევე მაქსიმალურად მცირე დროის მარშრუტის დროს ხარჯი შეადგენს 15 ერთეულს, მომხმარებელთა რაოდენობა კი 42, ეფექტი  $15/42=0,35$ .

### 3. დასკვნა

განხილული შემთხვევებიდან მისაღებია ის ვარიანტი, სადაც გაზგაყვანილობის ეფექტი ერთ მომხმარებელზე მინიმალურია, შესაბამისად NCDQM მარშრუტი ყველა შესაძლო შემთხვევებიდან ოპტიმალურია.

#### ლიტერატურა:

1. გუგუშვილი ა., თოფჩიშვილი ა., სალუქვაძე მ., ჭიჭინაძე ვ., ჯიბლაძე ნ. ოპტიმიზაციის მეთოდები. „ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2002
2. ჩოგოვაძე გ., გოგიჩაიშვილი გ.სურგულაძე გ., შეროზია თ., შონია. მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება. „ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2001.

აбелაშვილი ნ., ქართველი გ.

( , , .)

## DYNAMIC PROGRAMMING FOR DESIGN OF GAS NETWORK

Abelashvili Nodar, Kartvelishvili Giorgi  
Georgian Technology University

### Summary

The represented paper deals with the problem of mathematical multicomponent dynamic programming inventory a local network of a gas pipeline for power object network character (gas, the electric power, water supply is considered...) at different qualitative and summary restrictions.